ხელშეკრულება №44/1941
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
SMP190001049

ქ. თბილისი 22 თებერვალი 2019 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილე მიხეილ ნინუას სახით და მეორეს მხრივ, შპს ვი დი ჯი გრუპი (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გივი კალანდარიშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია საქონლის (შემდგომში - შესყიდვის ობიექტი) შესყიდვა, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე'' მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.1 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქაღალდის ხელსახოცები (CPV- 33764000).

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 720 (შვიდასოცი) ლარს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მათ შორის დღგ და ტრანსპორტირების ხარჯის გათვალისწინებით.

2.2. საქონლის რაოდენობა და ერთეული ღირებულება მოცემულია დანართი №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება დანართი №1-ში განსაზღვრული ვადების შესაბამისად.

3.2. საქონლის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, შიო ჩიტაძის ქ.4. საგარეო საქმეთა სამინისტრო.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად შესყიდვის ობიექტის ფაქტობრივი მიწოდებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.

5.2. მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტი აუნაზღაურდება უნაღდო ანგარიშსწორებით, საქონლის მიწოდების შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

6.3. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

- მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის კონტროლის შედეგად გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- შესაბამისი წერილობითი შეტყობინებიდან 3 (სამი) დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის კონტროლის შედეგად გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა.

6.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სახელმწიფო შესყიდვების უზრუნველყოფის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი არსენ ლაგვილავა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) ედუარდ ალიკიანი.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. მიმწოდებელს, მის მიერ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.

8.3. თუ მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ.

9.2. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. ხელშეკრულებების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს შესყიდვის ობიექტის ღირებულების10%-ისა.

10.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე უნდა გაფორმდეს შეთანხმება, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 მარტის ჩათვლით.

12. დავა და მისი გადაწყვეტის წესი

12.1. წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

13.1. საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

შემსყიდველი
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
მის: ქ. თბილისი, ჩიტაძის ქ. 4
საიდენტიფიკაციო კოდი: 203 83 63 22
ტელ: 2945000
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE 22

მინისტრის მოადგილე
მიხეილ ნინუა

MFA of Georgia
Digitally signed by MFA of Georgia
DN: cn=MFA of Georgia, 2.5.4.97=NTRGE-203836322, o=MFA of Georgia, c=GE
Date: 2019.02.22 14:08:07 +04'00'

მიმწოდებელი
შპს „ვი დი ჯი გრუპი"
მის: ქ. თბილისი, ნინოშვილის ქ. 49
ბანკი: ს/ს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი:BAGAGE22
ა/ა: № GE03 BG0000 0007 3692 4500
ს/კ: №204560607
ტელ: 294 66 77. 571 99 21 00.
E-Mail: vdggroup@yahoo.com
გივი კალანდარიშვილი
დირექტორი

Givi Kalandarishvili
Digitally signed by Givi Kalandarishvili
Date: 2019.02.22 14:21:32 +04'00'

დანართი №1

№	დასახელება	მახასიათებლები	წარმომობის ქვეყანა/მწარმოებელი	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი	მიწოდების ვადა
1	33764000-ქაღალდის ხელსახოცები	დისპენსერის ქაღალდის ხელსახოცი 2 ფენიანი (ცალობრივი, შეკვრაში არანაკლებ 200 ცალი ფურცელი). თეთრი ფერის, სამ ნაწილად დაკეცილი, წყალში ადვილად ხსნადი. დისპენსერის ზომებიდან გამომდინარე, ხელსახოცის ზომები: სიგანე გაშლილ მდგომარეობაში: 20.5 სმ+/- 3 მმ სიგრძე გაშლილ მდგომარეობაში 22.5 სმ +/- 3 მმ	საქართველო, შპს „ვი დი ჯი გრუპი“	შეკვრა	400	1,80	720	ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 სამუშაო დღე

შემსყიდველი
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

მინისტრის მოადგილე
მიხეილ ნინუა

მიმწოდებელი
შპს „ვი დი ჯი გრუპი“

გივი კალანდარიშვილი
დირექტორი

MFA of Georgia

Digitally signed by MFA of Georgia
DN: cn=MFA of Georgia, 2.5.4.97=NTRGE-203836322, o=MFA of Georgia, c=GE
Date: 2019.02.22 14:08:33 +04'00'

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 22 თებერვალი 2018 წელი

ვადასტურებთ, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ქაღალდის ხელსახოცების შესყიდვის მიზნით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში შპს ,,ვი დი ჯი გრუპ"-თან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

მიხეილ ნინუა: _____

გიორგი ნაცვლიშვილი: _____

მამუკა ბარათაშვილი: _____

ირაკლი ქოიავა: _____

მაკა სოხაძე: _____

ირაკლი დარბუაშვილი: _____

არსენ ლაგვილავა: _____

ედუარდ ალიკიანი: _____